

Q: მოიცავს თუ არა საგრანტო პროგრამა რაჭა-ლეჩხუმის მთლიან რეგიონს?

A: საგრანტო პროგრამა რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში რამდენიმე სოფელს მოიცავს;

Q: არის თუ არა ფინანსური აუდიტის წარდგენა სავალდებულო?

A: ფინანსური აუდიტის წარდგენა არ არის სავალდებულო, თუმცა ჩაითვლება უპირატესობად. ის აპლიკანტი, რომელიც წარადგენს საერთაშორისო ან კარგი რეპუტაციის მქონე ადგილობრივი აუდიტორის მიერ ჩატარებულ აუდიტს მიიღებს დამატებით 10 ქულას შეფასების პროცესში.

Q: მომსახურების მომწოდებლის (შემსრულებლის) ფისკალური განცხადების რომელი ნაწილი უნდა შეავსოს აპლიკანტმა ორგანიზაციამ, თუ ის არასამეწარმეო იურიდიული პირია?

A: აპლიკანტმა, რომელიც სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირია, უნდა შეავსოს მომსახურების მომწოდებლის (შემსრულებლის) ფისკალური განცხადების ნაწილი 2 და ნაწილი 3, როგორც ინგლისურ, ისევე ქართულ ენებზე.

Q: როგორ უნდა წარმოადგინოს აპლიკანტმა ორგანიზაციამ სააპლიკაციო ფორმაში პროექტების განხორციელების კუთხით არსებული გამოცდილება?

A: სააპლიკაციო ფორმაში აპლიკანტმა ორგანიზაციამ შესაბამის ველებში უნდა მიუთითოს ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე ინფორმაცია (პროექტის სახელი, დაფინანსების წყარო, ბიუჯეტი ევროში და პროექტის მოკლე აღწერა).

Q: სულ რამდენი WiFi ზონა და ციფრული სოფლის ჰაბი (Digital Rural Hub (DRH)) უნდა შეიქმნას რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში?

A: რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის WiFi ზონების შესაქმნელად, FSM-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეირჩა 55 სოფელი (ჩამოტვირთეთ სია აქ). ამ სოფლებს შორის, დაახ. 3-4 სოფელში განთავსდება ციფრული სოფლის ჰაბები. გამარჯვებული ორგანიზაცია მიიღებს სოფლების სიასა და კონკრეტულ ინსტრუქციებს სახელშეკრულებო ურთიერთობების ეტაპზე. ამასთან, სოფლების კონკრეტული ჩამონათვალი და შესასრულებელი აქტივობების ოდენობა დაზუსტდება გამარჯვებულ აპლიკანტთან ხელშეკრულებით.

Q: როგორ უნდა გადანაწილდეს წლების მიხედვით სამოქმედო გეგმაში WiFi ჰოტსფოთების დამონტაჟების საკითხი?

A: WiFi ჰოტსფოთების დამონტაჟება გადანაწილდება 3 წელიწადზე. კონკრეტულად როდის და რამდენი WiFi ჰოტსფოთი დამონტაჟდება, გადაწყდება სახელშეკრულებო ურთიერთობების ეტაპზე.

Q: შესაძლებელია თუ არა აქტივობებსა და ბიუჯეტში საგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირება?

A: FSM პროექტს ახორციელებს ესტონელ პარტნიორებთან, e-Governance Academy (eGA) - სთან, ერთად. პარტნიორებს შორის გაყოფილია აქტივობები, კერძოდ, FSM-ის აქტივობები ეხება ინფრასტრუქტურას (WiFi ჰოტსფოთებისა და ციფრული სოფლის ჰაბების შექმნას), eGA კი ციფრულ წიგნიერებასა და ციფრული უნარების განვითარებაზე არის პასუხისმგებელი. შესაბამისად, FSM-ის მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო შინაარსის აქტივობების დაფინანსება.

Q: რას ემსახურება კონკურსების გამოცხადება მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის?

A: მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის კონკურსების გამოცხადება ემსახურება მათ მიერ თავიანთ საქმიანობაში ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებას. გამარჯვებული ორგანიზაცია დაეხმარება FSM-ს კონკურსის ორგანიზაციულ და ლოჯისტიკურ საკითხებში. მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის გასაცემი გრანტების თანხა არ უნდა შედიოდეს აპლიკანტი ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ბიუჯეტებში.

Q: როგორ უნდა გაიწეროს ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯები?

A: ადმინისტრაციული ხარჯები უნდა დაუკავშირდეს საგრანტო პროგრამის განცხადების 2.3 პუნქტში ჩამოთვლილ 7 მსხვილ აქტივობას, რომლებიც თავის მხრივ სამოქმედო გეგმაში ქვე-აქტივობებად უნდა ჩაიშალოს.

Q: რამდენად დეტალურად უნდა გაიწეროს აპლიკანტმა ორგანიზაციამ წარსადგენი ბიუჯეტი?

A: აპლიკანტმა ორგანიზაციებმა ბიუჯეტი უნდა ჩაშალოს შესაძლებლობების ფარგლებში და მოცემული ბიუჯეტის ზედა ზღვრის (€100 000) გათვალისწინებით.

დამატებითი კომენტარები გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით:

FSM-ის ვალდებულება არის როგორც ტექნიკის შეძენა, ისე ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან ხელშეკრულებების გაფორმება. შერჩეული პარტნიორი ორგანიზაცია კი პასუხისმგებელი იქნება პროვაიდერებთან ურთიერთობების კოორდინირებასა და ტექნიკის კონკრეტულ სოფელში მიწოდებასთან დაკავშირებულ ლოჯისტიკურ საკითხებზე.

გარდა ამისა, პროექტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს შექმნილი WiFi ზონების მდგრადობის უზრუნველყოფა. ამისათვის პროექტი შეიმუშავებს გარკვეულ ბიზნეს მოდელებს, რათა მოხდეს შექმნილი ზონების გადაბარება (მაგ. მუნიციპალიტეტზე). გადაბარებამდე ბიზნეს მოდელების განხორციელების უზრუნველყოფაში FSM-ის მხარდაჭერა ასევე იქნება შერჩეული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა.